ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N2

ქ.ცაგერი 02.03.2023წ

სხდომა დაიწყო 12 საათზე.

სხდომას ხელმძღვანელობდა ცაგერის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარე მარიკა კოპალიანი.

სხდომას ესწრებოდნენ:
მ.ყურაშვილი,თ.ჭაბუკიანი,ო.ჩაკვეტაძე,მ.ახვლედიანი,კ.მუშკუდიანი,მ.ხაბულიანი,მ.სვანიძე, თ.ნემსწვერიძე, დ.ჩაკვეტაძე, შ.დვალი

თავჯდომარემ გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წევრებს სხდომის დღის წესრიგი გააცნო:

1. დედის დღესთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან დედებზე სიმბოლური საჩუქრების გადაცემა.
2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურთან ერთად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ შემდეგი საჭიროებების განხილვა:
   ა) შშმ პირების ბაზის განახლება
   ბ)ტურისტული ობიექტების თანაბარი ხელმისაწვდომობის მიზნით ამ ობიექტების ადაპტირება შშმ პირების საჭიროებებზე.
   გ) მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს შენობების ადაპტირების შესახებ შშმ პირების საჭიროებებზე.

3. წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქციაში მონაწილეობის მიღება.

აზრი გამოთქვეს: მ.სვანიძემ,თ ჭაბუკიანმა,მ.ხაბულიანმა, დ.ჩაკვეტაძემ.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავჯდომარე: მ.კოპალიანი

საბჭოს მდივანი: თ.ნემსწვერიძე